ბრძანება:**ბ76. 762302713**
თარიღი:**27/01/2023**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების; საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი'' დანართის შესაბამისად.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით უზრუნველყონ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისთვის გაცნობა.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე www.ambrolauri.gov.ge.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი